საქართველოს მთავრობის განკარგულება

№ 2571 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „ფშავი ჰიდროსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის „სკურდიდი ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის შესახებ დასადები შეთანხმების თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „ფშავი ჰიდროს“ შორის 2015 წლის 16 ნოემბერს „სკურდიდი ჰესი“ ჰიდროელექტროსადგურის შესახებ დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობას, შპს „ფშავი ჰიდროსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები შეთანხმება.

2. შპს „ფშავი ჰიდრო“ გათავისუფლდეს ამ განკარგულების პირველ პუნქტში განსაზღვრული შეთანხმების ხელმოწერამდე ელექტროსადგურის ექსპლოატაციაში მიღების ვადის გადაცილებისთვის საქართველოს მთავრობასა და შპს „ფშავი ჰიდროს“ შორის 2015 წლის 16 ნოემბერს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის 5.3 პუნქტით განსაზღვრული სანქციებისაგან.

3. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის

შესაბამისად, შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**